პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 თებერვალი, ხამშაბათი, 1987 წ.
№ 38 (9449) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სროლის საკავშირო კვირეული

რესპუბლიკაში ბევრგან წარმატებით ჩაიარა სროლის კვირეულმა. ამ ღონისძიებამ შესაბამისი სპორტული ბაზების საერთო დათვალიერების შესაძლებლობაც მისცა სპორტულ და დოსაафის ორგანიზაციებს. ბევრგან ახალი ტირის მშენებლობის საკითხიც დაისვა. მაგალითად, როგორც საბურთალოს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ჯინჭარაძემ გვაცნობა, რაიონის ერთადერთ ტირს ახლო მომავალში მეორე შეემატება. სპორტკომიტეტისა და დოსაафის რაიონული კომიტეტების შუამდგომლობით რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი ტირი 64-ე საშუალო სკოლის ტერიტორიაზე მოაწყოს.

სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ცხაკაიის რაიონის სოფელ უშაფათის საშუალო სკოლაში გამართული ასპარეზობის მომენტია ასახული.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები ● კალათბურთი ● წყალბურთი



გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის რამდენიმე მატჩი.

# 18 წლის შემდეგ

**კაუნასი.** საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „ჟალგირისისა" და თბილისის „დინამოს" გუშინწინდელი შეხვედრა. თბილისელებმა მოიგეს პირველი ტაიმი 5 ქულით — 34:29, შესვენების შემდეგ შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 68:64. სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ „დინამომ" ლიტველი კალათბურთელები მათსავე მოედანზე უკანასკნელად 1969 წელს დაამარცხეს (76:60).

ამ დღეს „ჟალგირისს" აკლდა მხოლოდ არვიდას საბონისი.

**დონეცკი.** ადგილობრივმა „შახტიორმა" ზედიზედ ორი შეხვედრა ჩაატარა. ლენინგრადის „სპარტაკთან" დონეცკელები დამარცხდნენ — 78:85 (38:49), რიგის ვეფ-თან კი 4 ქულით დაამარცხეს — 74:70 (48:33).

საturnირო ცხრილი

მდგომარეობა 24 თებერვლისათვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 30 | 25 | 5 | 2898-2414 | 55 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 31 | 22 | 9 | 2697-2493 | 53 |
| „დინამო" (თბილისი) | 31 | 18 | 13 | 2412-2537 | 49 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 30 | 17 | 13 | 2476-2446 | 47 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 31 | 15 | 16 | 2485-2542 | 46 |
| ვეფ (რიგა) | 31 | 13 | 18 | 2702-2796 | 44 |

# იმედიანი სტარტი

მოსკოვის ოლიმპიური სპორტკომპლექსის საცურაო აუზი. „დინამო" (თბილისი) — შწფ (სევასტოპოლი) — 8:7 (3:0, 2:3, 2:2, 1:2).

„დინამო": გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, კოლუაშვილი, კანდელაკი. მათ გარდა თამაშობდნენ: გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, მაჭავარიანი.

შ.წ.ფ: გორბაჩოვი, კაჩალოვი, ტიშჩენკო, ვულფი, პონომარენკო, კებალო, კრივენჩუკი. მათ გარდა თამაშობდნენ: გუსევი, ზაბროდკინი, სკაჩკოვი, კირსანოვი, სალჩიცკი.

**წლევანდელი** სპორტული სეზონის დაწყებამდე თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს ვესაუბრეთ. უფროსმა მწვრთნელმა გვითხრა, გუნდი წლევანდელი ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადა და იმ ახალგაზრდა წყალბურთელებზე, რომლებიც შარშან იშვიათად გამოგვყავდა სარბიელზე, დიდ იმედებს ვამყარებთო.

და აი, ჩემპიონატიც დაიწყო. პირველი მატჩი თბილისელებმა შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის წყალბურთელებთან გამართეს და გაიმარჯვეს. გაიმარჯვეს დამაჯერებლად, თუმცა ეს სხვაობა (8:7) თბილისელთა უპირატესობას სრულად ვერ ასახავს. იყო მომენტი (მეორე პერიოდში), როცა თბილისელები 4 ბურთით დაწინაურდნენ — (5:1).

მეოთხე პერიოდში, როცა დინამოელები სამი ბურთით იყვნენ წინ, მწვრთნელმა სარბიელზე ძირითადად ახალგაზრდები დატოვა. მეტოქემ ამით ისარგებლა, ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. მიუხედავად ამისა, თბილისელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ისინი მშვიდად, აუღელვებლად და აკადემიურ სტილში თამაშობდნენ და გამარჯვებაც იზეიმეს.

დიახ, წლევანდელი ჩემპიონატის პირველი მატჩი თბილისელთა მონაწილეობით გაიმართა, ამიტომ, ალბათ საინტერესოა, ვინ გაიტანა ამ შეჯიბრებაში პირველი გოლი. ეს გახლავთ გუნდის ერთ-ერთი ვეტერანი ზუმბულიძე, რომელმაც ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. ბურთები გაიტანეს აგრეთვე კუტივაძემ, ბითაძემ, გიორგაძემ, კანდელაკმა, გვახარიამ და კოლუაშვილმა. მეზღვაურებიდან თავი გამოიჩინეს ზაბროდკინმა, კებალომ, კაჩალოვმა, სალჩიცკიმ, პონომარენკომ, ტიშჩენკომ და კრივენჩუკმა.

ამ მატჩის მიხედვით, რა თქმა უნდა, ძნელია ჩვენი გუნდის პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა, რადგან სევასტოპოლელთა გუნდი საჭიდაო ქვად არ გამოდგება. ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში წლეულს კიდევ ერთხელ დაბრუნდა და საკავშირო ჩემპიონატში მესამედ გამოდის. ამ შეჯიბრებაში მისი საუკეთესო მაჩვენებელი მხოლოდ მეათე ადგილია (1982 წელს), მაგრამ მასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ მაინც დაგვაიმედა.



**„დინამო" (თბილისი) — სსფ ცსკ (მოსკოვი) — 10:9 (2:2, 2:1, 3:3, 3:3).**

ამ მატჩში თბილისელთა სასტარტო და სათადარიგო შემადგენლობა იგივე იყო. მოსკოველთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: ბიჩკოვი, ოგოროდნიკოვი, მაქსიმოვი, პავლოვი, კოლოტოვი, ობოდკოვი, მარკოჩი. მათ გარდა თამაშობდნენ: განიევი, ბოიკო, გორშკოვი, სემიონოვი, კლეიმენოვი.

სევასტოპოლელებთან თამაშის შემდეგ ირაკლი ჩხიკვაძემ გვითხრა: არ ვიცი, როგორ დავამთავრებთ მო-

იხ. მე-3 გვ.

## საკონტროლო, საერთაშორისო...

**გაგრა** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებმა შავი ზღვის სანაპიროზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩები გამართეს უცხოეთის გუნდებთან.

თბილისის დინამოელებმა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ხემის „რუდა ჰვეზდასთან" ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობა: **აბუსერიძე, ფირცხალავა, ჩივაძე, მალანია (სვანაძე), ქეცბაია, ჟორდანია (მ. ჯიშკარიანი), სულაქველიძე, ბიგვავა, გოგრიჭიანი, გურული (ცვეიბა), მიქაშავიძე.**

23 თებერვალს თბილისის „დინამო" ჩეხოსლოვაკიის „სიგმას" შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა კორღალიძემ, მეორე ბურთი გაიტანა ცაავამ, მესამე — რევიშვილმა. დინამოელთა შემადგენლობა: **გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცაავა, კაკილაშვილი (ქეცბაია), აფციაური (მალანია), სულაქველიძე, კორღალიძე (სვანაძე), ჩელებაძე (მიქაშავიძე), რევიშვილი.**

ასევე ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა ლანჩხუთის „გურიამ". ლანჩხუთელები უნგრეთის „ჩეპელს" შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ბურთი 85-ე წუთზე გაიტანა ხლუსმა. „გურიის" შემადგენლობა: **იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ფრიდონაშვილი, კოპალეიშვილი, ჩხაიძე, ტყებუჩავა, ხლუსი, მეგრელაძე.**

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა, გარდა ამისა, ადლერში საკონტროლო მატჩი გამართეს ტაშკენტის „ფახთაქორთან" და აქაც გაიმარჯვეს — 1:0, ბურთი გაიტანა ჯიშკარიანმა. მატჩში „გურიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მალისოვი, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ფრიდონაშვილი, კოპალეიშვილი, ჩხაიძე, ტყებუჩავა, ხლუსი, მეგრელაძე (ჯიშკარიანი).**

რეპლიკა

# ვალი დეპეშით მოიხადეს

22 თებერვალს თბილისში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი აკრობატიკაში. მოგეხსენებათ, რესპუბლიკის ჩემპიონატი ის ოფიციალური შეჯიბრებაა, რომელმაც მთლიანად უნდა გვიჩვენოს ჩვენი მიღწევები და ნაკლოვანებები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, გამოავლინოს სპორტსმენები, რომლებსაც შემდეგ საკავშირო შეჯიბრებებზე რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა უნდა ვანდოთ. ამიტომ არავის არა აქვს უფლება, უგულებელყოს რესპუბლიკის ჩემპიონატის დანიშნულება.

ახლა გვინდა ერთი კონკრეტული ფაქტი გაგაცნოთ. 17 თებერვალს საქართველოს სპორტსახკომის შესაბამისმა განყოფილებამ მიიღო დეპეშა სამხრეთ ოსეთიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ოლქი რესპუბლიკის ჩემპიონატზე გზავნის ხუთ სპორტსმენს, თითო მწვრთნელს, მსაჯს და აკომპანიატორს. დეპეშას ხელს აწერს ოლქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სლანოვი.

სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთიდან ჩემპიონატზე არავინ ჩამოვიდა, ასპარეზობის ორგანიზატორებს არც რაიმე დამატებითი შეტყობინება მიუღიათ. გულისტკივილით უნდა ვთქვათ, რომ რესპუბლიკის ამ რეგიონში სპორტული მუშაობა მეტად ჩამორჩება და ის, რომ აკრობატები ჩემპიონატზე არ ჩამოვიდნენ, გამონაკლისი არ გახლავთ.

რედაქცია დაინტერესდა სამხრეთ ოსეთში აკრობატიკის განვითარებით. გაირკვა, რომ ოლქში ცხრა ჯგუფი მუშაობს. არის თუ არა ეს საკმარისი, რომ შეჯიბრებაში მიიღონ მონაწილეობა იქაურმა სპორტსმენებმა? რა თქმა უნდა, არის, მით უმეტეს, ეს ჯგუფები რამდენიმე წელია მუშაობს. ძალაუნებურად ისმის კითხვა: სად არის გაწეული ხარჯების უკუგება? რას აკეთებენ მწვრთნელები, რატომ არავინ სთხოვს მათ პასუხს სახელმწიფო სახსრების უშედეგოდ ხარჯვისათვის?

როგორც ჩანს, ოლქში კვლავ არაფერი კეთდება მინდობილი საქმისადმი მწვრთნელთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამთ მუშაობის გარდაქმნისათვის.

სამხრეთ ოსეთიდან მიღებული დეპეშა ხომ მუშაობის ძველი სტილისა და მეთოდებისადმი ერთგულების საბუთია.

ძმა ძმისთვის...

# დაზარალებულთა დასახმარებლად



ამ დღეებში 18 სატვირთო მანქანა მიადგა ონის რაიონის სოფელ სორგას. საქართველოს სპორტსახკომის „საქსპორტმშენის" ცხაკაიას სამმართველოს კოლექტივმა სხვადასხვა სამშენებლო მასალები გადასცა საჩუქრად წყალდიდობისაგან დაზარალებულ სოფლის მოსახლეობას (იხ. მე-2 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



## ინფორმაცია

● **საფრანგეთის** ქალაქ ლევენში დამთავრდა ევროპის ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ყველას საბჭოთა სპორტსმენებმა აჯობეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლენინაკანელი რობერტ ემიანის წარმატება, რომელმაც ევროპის რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში (849 სმ) და გაიმარჯვა.

ამავე შეჯიბრებაში ფრანგმა სპრინტერმა ბრუნო მარი-როზმა ახალი მსოფლიო რეკორდი (დარბაზისათვის) დაამყარა 200 მეტრზე რბენაში — 20,36.

● **კალიფორნიის** შტატის ქალაქ სან-დიეგოში გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ამერიკელმა გრეგ ფოსტერმა 60 მ. თარჯრბენში — 7,47. ორ კილომეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა ირლანდიელმა იმონ კოგლენმა — 4.54,7.

## ჩემპიონატის ექო

# პირველად პრიზიორთა შორის



**რამდენიმე დღის წინ დამთავრდა საბჭოთა კავშირის 53-ე ჩემპიონატი კრივში. ათი დღის მანძილზე უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა კაუნასის „სპორტჰალეში". ჩვენ ანგარიში გავუწიეთ სპორტის მოყვარულთა თხოვნას (მათ სურდათ უფრო ვრცლად მოგვეთხრო ამ ჩემპიონატის შესახებ) და დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს კრივში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ზურაბ გუნიას. დღეს გთავაზობთ წერილს, რომელიც მან მოგვაწოდა.**

რადგან „ლელოს" მკითხველები მეტ-ნაკლებად ინფორმირებული არიან, ვეცდები ვილაპარაკო იმაზე, რაც სპორტის გულშემატკივრებისთვის უცნობია.

კაუნასში საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესმა მოკრივემ მოიყარა თავი. საკმარისია ითქვას, რომ 210 მონაწილიდან 3 სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო, 46 — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დანარჩენი 161 — სპორტის ოსტატი.

ჩვენი გუნდი არასრული შემადგენლობით ჩავიდა კაუნასში. საქმე ისაა, რომ კახა სამხარაძე, გია წერედიანი, ბესო ლურჯია, სამველ ვარდიკიანი, სპარტაკ ასანიძე და კიდევ რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და ყოველი დიდი შეჯიბრებისწინა შეკრებებზე მათ პერიოდულ გამოძახებას მზადებაში სასურველი შედეგი არ მოაქვს. ჩემპიონატის პრიზიორები ხვიჩა ხდრიანი, ალბერტ და რუდიკ კაზანჯიანებიც არმიაში მსახურობენ, მაგრამ ამ სპორტსმენებს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ და უფრო უადვილდებათ სპორტული ფორმის აღდგენა.

სწორედ გამოუცდელობის გამო გამოეთიშა რამდენიმე ჩვენი მოკრივე საკავშირო ჩემპიონატის მედლების მაძიებლებს. მაგალითად, ეროსი მარგიანმა ისეთი ცეცხლი დაანთო რინგზე, რომ მის მრავალნაცად მეტოქეს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ მოკრივეს ვასილი შიშოვსაც კი გაუჭირდა მასთან ბრძოლა. მხოლოდ ტაქტიკური ნიუანსებით აჯობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა მესტიელ ჭაბუკს. აქვე ვიტყვი, რომ ეროსი, მშობლიურ კუთხეში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, უდიდესი რისკის ფასად ფეხით ჩამოვიდა ბარში და შეკრებაზე მაინც შემოგვიერთდა.

გამოუცდელობის გამო დამარცხდნენ ემელიანე ჭულუხაძეც, მამუკა შალამბერიძეც, დომენტი დანელიაც... არადა, სამივემ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან, ესე იგი, ერთი რანგით მათზე მაღლა მდგომ ათლეტთან დათმო ორთაბრძოლა.

მეტს ველოდით იური სავოჩკინისა და დავით შარვაშიძისგან, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ სავოჩკინი მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა.

რაც შეეხება ჩვენს პრიზიორებს, მათ ჩინებულად იასპარეზეს და თუ მეტად არ გაგვახარეს, ამისთვის მხოლოდ მათ ნუ ვუსაყვედურებთ, მსაჯთა შეცდომებიც მივილოთ მხედველობაში.

როგორ შეიძლება შევაფასოთ საქართველოს გუნდის გამოსვლა ამ ჩემპიონატში? ვფიქრობ, დამაკმაყოფილებლად. რაც არ უნდა იყოს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი ურიგო არ გახლავთ. სხვათა შორის, ბოლო წლების მანძილზე არც ერთი საკავშირო ჩემპიონატიდან უმედლებოდ არ დავბრუნებულვართ. სასიამოვნოა ისიც, რომ ჩვენი მოკრივეები ყველა რანგის ტურნირში კარგად გამოდიან. გავიხსენოთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ჭაბუკთა I საკავშირო თამაშები, შარშან გამართული ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების პირველობა (გუნდური I ადგილი), სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (ოთხი — I, ორი — II, სამი — III ადგილები), კეთილი ნების თამაშები და ევროპის ჭაბუკთა პირველობა (თითო — II და III ადგილები), ახალგაზრდული ტურნირი „მეგობრობა" (1 ბრინჯაოს მედალი), ხალხთა IX სპარტაკიადა (ორი — II და ერთი — III ადგილები), სსრ კავშირის თასის გათამაშება (ერთი — II, ორი — III პრიზიორი) და ასე შემდეგ. სსრ კავშირის სპორტსახკომმა შეაჯამა ეს შედეგები. ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო კლასიფიკაციით 168,5 ქულით პირველად გავიდა III ადგილზე. საუკეთესო შედეგი — 531,5 ქულა — რუსეთის ფედერაციის მოკრივეებს ჰქონდათ. მათ მთელი 306,5 ქულით ჩამორჩნენ ყაზახეთის სპორტსმენები. ჩვენ კი ისეთ აღიარებულ გუნდებს გავუსწარით, როგორიცაა უკრაინის (162,5) და სომხეთის (152) კოლექტივები. აქვე მოგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს გარი ხაჩატუროვს III ადგილი მიაკუთვნეს.

სწორედ ამ წარმატებამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს ჩემპიონატში I და II ადგილებზე გასულ სპორტსმენებს ავტომატურად მივანიჭოთ სპორტის ოსტატის წოდებები. შეგახსენებთ, რომ ჩვენი საუკეთესო შედეგი საკავშირო კლასიფიკაციაში VII ადგილი იყო.

ახლა ისიც ვთქვათ, პირველ ყოვლისა, ვისი დამსახურებაა ეს. წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვები". იქ ყველა პირობაა ნორმალური ვარჯიშისთვის — სასტუმრო, კვების ბლოკი, 2 დარბაზი, გასახდელები. მხოლოდ საშხაპე არა აქვთ. აქვე შექმნილია კრივის ოლიმპიური რეზერვის მზადების ცენტრი. ახლახან ასეთი ცენტრი უმაღლესი დაოსტატების № 2 სპორტულ სკოლასთანაც გაიხსნა.

კარგად მუშაობენ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლის მწვრთნელ-პედაგოგებიც, „ბურევესტნიკის" კრივის სპეციალისტებიც.

სამწუხაროდ, სპორტის ეს სახეობა ვერ აღორძინდა „სპარტაკში". ეს მით უფრო დასანანია, რომ ამ სპორტსაზოგადოების სპორტსმენები კრივში ტრადიციულად კარგ შედეგებს აღწევდნენ. სუსტად მუშაობს „განთიადი", სპორტის ამ სახეობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აჭარის კრივის მესვეურებს დიდი ხანია ვაკრიტიკებთ, მაგრამ...

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საჭირო აქსესუარის გარეშე შორს ვერ წავალთ — გვიჭირს ხელთათმანებისა და ნიღბების შოვნა. არადა, ნიღბის გარეშე უკვე არც ერთი რანგის შეჯიბრებაზე აღარ უშვებენ სპორტსმენებს.

ახლა ისიც ვთქვათ, რისი იმედი უნდა გვქონდეს ხვალ და ზეგ. იანვრის ბოლოს რესპუბლიკაში საქართველოს სპორტსახკომის, განათლების სამინისტროსა და სპორტსაზოგადოებების ინიციატივით, ჩვენში პირველად დაიწყო სპორტული სკოლების გუნდური პირველობა 1973-1974 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ვთხოვო რაიონების სპორტკომიტეტების ხელმძღვანელებს, იზრუნონ ამ შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარებაზე.

ჩვენი ლიდერების შემცვლელებად უკვე თავისუფლად შეიძლება დავასახელოთ ნიკა სეთური, სპარტაკ ასანიძე, კახა სამხარაძე, სამველ ვარდიკიანი, გია წერედიანი, დავით შარვაშიძე, ედუარდ ჯაბარიჩიძე, ჯამბულად ყუფარაძე, ხვიჩა სეთურიძე. სხვათა შორის, ჯამბულადი და ხვიჩა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან. სერიოზული გამოცდა ელით მარტშიც — ირკუტსკში სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა ჩატარდება.

ხდრიანი და ძმები კაზანჯიანები ახლა საკავშირო I ნაკრების შეკრებაზე არიან და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

**ზურაბ გუნია.**

### 213 — კვარცხლბეკი

**48 კგ.** 1. ნ. მუნჩიანი (სომხეთი), 2. ა. მახმუტოვი (რსფსრ) 3. რ. კაზანჯიანი (საქართველო), ი. არბაჩაკოვი; **51 კგ.** 1. ა. ფილიპოვი (ორივე — რსფსრ), 2. ბ. ესყანოვი (ყაზახეთი), 3. გ. ხანბატიროვი (ლენინგრადი), ტ. სკრიაბინი (მოლდავეთი); **54 კგ.** 1. ი. ალექსანდროვი (რსფსრ), 2. ხ. ხდრიანი, 3. ა. კაზანჯიანი (ორივე — საქართველო), გ. საფარიანი; **57 კგ.** 1. მ. კაზარიანი (ორივე — სომხეთი), 2. ა. არტემიევი (ლენინგრადი), 3. ს. ხაჩატრიანი (სომხეთი), ა. გრიგორიევი (რსფსრ); **60 კგ.** 1. ო. ნაზაროვი (ყირგიზეთი), 2. ვ. სტეპანოვი, 3. გ. აკოპიანი (ორივე — რსფსრ), ს. ნურკაზოვი (ყაზახეთი); **63,5 კგ.** 1. ვ. იანოვსკი (ბელორუსია), 2. ი. რუქნიკოვი (ყაზახეთი), 3. ი. არსინი, ი. რიხლიკი (ორივე — მოსკოვი); **67 კგ.** 1. ვ. შიშოვი (რსფსრ), 2. ი. აკოპოხიანი (სომხეთი), 3. ა. ოსტროვსკი (რსფსრ), გ. ტემირბოლატოვი (მოსკოვი); **71 კგ.** 1. ვ. ეგოროვი (რსფსრ), 2. მ. ავეტისიანი (სომხეთი), 3. ა. პანინი (რსფსრ), უ. არისტაკესიანი (სომხეთი); **75 კგ.** 1. ს. სმირნოვი (ყაზახეთი), 2. დ. ბოლიგუზოვი (რსფსრ). 3. ს. ვასილენკო (უზბეკეთი), ა. კარამიანი (სომხეთი); **81 კგ.** 1. ი. ვაულინი (ლატვია), 2. ნ. შანავაზოვი, 3. ა. კარავაევი (ორივე — რსფსრ), ვ. კაჩანოვსკი (უკრაინა); **91 კგ.** 1. რ. სებიევი (რსფსრ), 2. ა. ზოლკინი (მოსკოვი), 3. ა. ჩოლოკიანი, ე. სუდაკოვი (ორივე — რსფსრ); **+ 91 კგ.** 1. ა. იაგუბკინი (უკრაინა), 2. ა. მიროშნიჩენკო (ყაზახეთი), 3. ვ. იაკოვლევი (ლენინგრადი), ვ. აბიაჯიანი (რსფსრ).

---

## მოთხილამურე არქიტექტორთა III საერთაშორისო შეხვედრა

# ბოლო აკორდი

**თითქმის** ორ კვირას მასპინძლობდა ჩვენი რესპუბლიკა არქიტექტორთა III საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ბაკურიანში გატარებული ათი დღე იყო. არქიტექტორებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ გამოფენები, მონაწილეობა მიეღოთ თეორიულ სემინარებში, დისკუსიებში, გართობა-დასვენების საღამოებში...

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა სათხილამურო კარნავალმა (კარნავალის ერთ-ერთი ეპიზოდის ფოტოს აქვე გთავაზობთ). საღამოს საერთაშორისო ტურისტულ ცენტრ „მზიური ველის" მძლავრი იუპიტერებით გაჩირაღდნებულ კლუბში გაიმართა არქიტექტორთა საერთაშორისო შეხვედრის დახურვის საზეიმო ცერემონიალი და გამარჯვებულთა დაჯილდოება. სპეციალური პრიზები მიიღეს აგრეთვე საუკეთესო პროექტების ავტორებმა (პოლონელმა, იტალიელმა, ჩეხოსლოვაკიელმა და საბჭოთა არქიტექტორებმა).

სკია-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა კიდევ სამი კომისია — პროპაგანდისა და ინფორმაციის, სპორტული და ფირმებთან საქმიანი კონტაქტებისა (მარკეტინგი).

**„ლელოს" კორ.**



ნუგზარ ქარელის ფოტო.

---

## ძმა ძმისთვის...

# დაზარალებულთა დასახმარებლად

**იმ** დღეს, 21 თებერვალს, ცხაკაიას ქუჩებში გამოჩნდა სამშენებლო მასალებით დატვირთული მანქანების კოლონა, რომელმაც გეზი ხობის რაიონისკენ აიღო. საქართველოს სპორტსახკომის „საქსპორტმშენის" ცხაკაიის სპეციალიზებული რესპუბლიკური სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი ნ. ჯობავა) უსასყიდლოდ გაუგზავნა ხობის რაიონის სოფელ ხორგის მოსახლეობას 100 კუბური მეტრი ხის მასალა, 7 ათასი საკედლე ბლოკი და 5 ტონა მეტალი. იმავე დღეს შაბათობაზე გამოვიდა სამმართველოს 250 მუშა-მოსამსახურე და გამომუშავებული თანხა — 5500 მანეთი — ხობის რაიონში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხა.

პარტიის ცხაკაიას რაიკომმა, საქართველოს სპორტსახკომმა მოიწონეს აგრეთვე წინადადება, რომ სამმართველომ საკუთარი მასალებითა და შაბათობებზე გამომუშავებული თანხით ხობის რაიონში ერთ მრავალშვილიან ოჯახს აუშენოს საცხოვრებელი სახლი.



• • •

**საქართველოს სსრ** განათლების სამინისტროს ცხენოსნობის რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებმა ორი დღის ხელფასი შეიტანეს № 700 ანგარიშზე.

**სამტრედიის რაიონის** ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მუშაკებმა სამი დღის ხელფასი გადარიცხეს სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

---

## საბავშვო ბაღიდან იწყება...

# კარგი საქმის ცუდი დასასრული

**სპორტთან** 45 წელი მაკავშირებს და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვთა ფიზიკური აღზრდა არასოდეს ყოფილა ისეთი მზრუნველობით გარემოსილი, როგორითაც დღესაა. თუ ადრე ჩვენი ყურადღების ცენტრში ძირითადად სასკოლო ასაკის ბავშვები იყვნენ, ახლა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ელემენტები საბავშვო ბაღშიც მკვიდრდება. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, სპორტის ანბანს მოზარდები სწორედ ადრეული ასაკიდან უნდა დაეუფლონ. მომავალში ეს ჩვენს, სპორტის მუშაკებსაც გაგვიადვილებს საქმეს. მახსოვს, ამ ორი წლის წინ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" ამ საკითხზე დისკუსია გაიმართა. ჩვენი ქვეყნის ტანვარჯიშის წამყვანი სპეციალისტები, რომელთა შორის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძეც იყო, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სპორტში მეცადინეობის დაწყება 6 წლიდან დაგვიანებულია.

შარშან, ჩვენი სპორტული სკოლის კოლექტივმა გადაწყვიტა შეფობა გაეწია საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის. ამ მიზნით ვეწვიეთ 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის № 96 საბავშვო ბაღს, რომელიც ჩვენი სკოლის მეზობლად მდებარეობს. ბაღის გამგემ, ქალბატონმა ნანა კოკაიამ გულისყურით მოგვისმინა და უფროსი ასაკის აღსაზრდელთა მშობლების აზრის გასაგებად კრება მოიწვია. ჩვენს წინადადებას მშობლები მოწონებით შეხვდნენ. ერთი სიტყვით, გადაწყდა, რომ ბაღის უფროსი ასაკის ბავშვები დილის საათებში ჩვენი სკოლის დარბაზში ივარჯიშებდნენ ჩვენივე მწვრთნელებისა და ქორეოგრაფის ხელმძღვანელობით. მეორე დღესვე შევუდექით საქმეს. დილის 11 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სკოლის ორი მწვრთნელი მივიდა საბავშვო ბაღში, სადაც დახვდათ სამი მორიგე მშობელი — ბავშვების ბაღიდან სკოლამდე მიყვანას და სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობას 10 წუთი დასჭირდა. მუსიკის ხმაზე დაიწყო პირველი გაკვეთილი: მწყობრში სიარული, აჩქარებული სიარული, ნახტომები, სირბილი, საერთო-განმავითარებელი ვარჯიშები, ტანვარჯიშულ კედელზე ასვლა-ჩამოსვლა, წინკოტრიალი, მოძრავი თამაშები. მეცადინეობა 45 წუთს გაგრძელდა. ბავშვები ხალისით ასრულებდნენ მწვრთნელთა განკარგულებებს, კმაყოფილნი დარჩნენ მშობლებიც, საბავშვო ბაღის პედაგოგებიც. მეორე და მესამე ვარჯიშზე ბავშვების რიცხვმა იმატა, მაგრამ... ბაღის გამგემ ზემდგომი ორგანოების ნებართვა მოგვთხოვა. ასე დაესვა წერტილი კარგად დაწყებულ საქმეს.

ახლა, როცა ასე სერიოზულად დადგა საბავშვო ბაღების ბავშვთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების საკითხი, იქნებ მართლაც შევქმნათ რაღაც დოკუმენტი, რომელიც ჩვენც და ბაგა-ბაღების ხელმძღვანელობასაც ხელ-ფეხს გაგვიხსნის. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ბევრ საბავშვო ბაღს არა აქვს საჭირო ზომის, სპორტული ინვენტარით აღჭურვილი, დარბაზი. საქმეს გადადება არ უყვარს. ჩვენ მზად ვართ ნებართვის მიღების შემთხვევაში გავაგრძელოთ ადრე დაწყებული მუშაობა.

**მიხეილ გეგელია,**

**საქართველოს განათლების სამინისტროს აკრობატიკის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# დღეს მონაკოში:



## „დინამო“ (კიევი) — „სტიაუა“ (ბუქარესტი)

**დღეს** მონაკოში, მონტე-კარლოს სტადიონზე შედგება მატჩი, რომელიც ახლა საერთაშორისო საფეხბურთო წრეების ყურადღების ცენტრშია: ევროპის სუპერთასზე ერთმანეთს შეხვდებიან კონტინენტის შარშანდელი ლაურეატები — ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) და თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი).

ევროპის სუპერთასი ჩვენი დროის საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მეტად პრესტიჟული პრიზია. კიევის დინამოელები, სხვათა შორის, მას ერთხელ უკვე ფლობდნენ, როცა 1975 წელს თასების თასის მფლობელთა რანგში დაამარცხეს ჩემპიონთა თასის მფლობელი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილი კლუბი „ბაიერნი“ (მიუნხენი).

ამ საინტერესო თასის ჩატარების იდეა ჰოლანდიელებს ეკუთვნით. მათ 1972 წელს სურვილი გამოთქვეს ევროპული საკლუბო ტურნირების ორ მთავარ გამარჯვებულს ეთამაშა ევროპის უძლიერესი საკლუბო გუნდის გამოსავლენად. მაშინ ჰოლანდიელებს ისეთი სიძლიერის სუპერკლუბი ჰყავდათ, როგორიც იყო ამსტერდამის „აიაქსი“. სუპერთასი იმავე წელს გათამაშდა, „აიაქსმა“ ორჯერ (3:1 და 3:2) დაამარცხა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“, მაგრამ მაშინ ეს არაოფიციალური შეხვედრები იყო, ერთი წლის შემდეგ კი ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა დაამტკიცა სუპერთასის სტატუსი და 1973 წელს „აიაქსმა“, რომელსაც მაშინ სათავეში ედგა განთქმული იოჰან კრუიფი, კვლავ გაიმარჯვა.

მართალია, სუპერთასის გათამაშება უეფა-მ ოფიციალურ შეჯიბრებად აღიარა, მაგრამ ეს მატჩები სხვადასხვა მიზეზის გამო რეგულარულად არ იმართებოდა. კერძოდ, 1981 წელს თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასების ტურნირში გაიმარჯვა და ჩემპიონთა თასის მფლობელს „ლივერპულს“ (ინგლისი) უნდა შეხვედროდა, მაგრამ მხარეთა მოლაპარაკება გაჭიანურდა, შეხვედრის თარიღი ვერ დადგინდა და თბილისის დინამოელებმა სუპერთასზე ვერ იასპარეზეს.

სუპერთასის ისტორიაში სულ 11 მატჩი შედგა, აი, გამარჯვებულთა ვინაობა:

**1972 წ. „აიაქსი“ (ჰოლანდია)**
**1973 წ. „აიაქსი“ (ჰოლანდია)**
**1975 წ. „დინამო“ (კიევი)**
**1976 წ. „ანდერლეხტი“ (ბელგია)**
**1977 წ. „ლივერპული“ (ინგლისი)**
**1978 წ. „ანდერლეხტი“ (ბელგია)**
**1979 წ. „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი)**
**1980 წ. „ვალენსია“ (ესპანეთი)**
**1982 წ. „ასტონ ვილა“ (ინგლისი)**
**1983 წ. „აბერდინი“ (შოტლანდია)**
**1984 წ. „იუვენტუსი“ (იტალია)**

ახლა ერთმანეთს ხვდებიან ბუქარესტის „სტიაუა“ და კიევის „დინამო“. სხვათა შორის კიეველი ო. ბლოხინი ერთადერთია, რომელიც 1975 წლის სუპერთასის მატჩში მონაწილეობდა. კიეველთა უფროსი მწვრთნელი მაშინაც ვ. ლობანოვსკი იყო.

საინტერესოა, რომ ბუქარესტის „სტიაუა“ და კიევის „დინამო“ ყველაზე მეტჯერ, 12-12-ჯერ იყვნენ თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები. „სტიაუა“ ახლაც, მეორე წრის დასაწყისში, ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატში, ამ გუნდის 10 ფეხბურთელი ამ ქვეყნის ნაკრების წევრია.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ „სტიაუამ“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში შარშან ფრედ ითამაშა ესპანეთის „ბარსელონასთან“ — 0:0 (ეს შეხვედრა 7 მაისს გაიმართა ესპანეთის ქალაქ სევილიაში) და შემდეგ დამატებითი პენალტებით დაამარცხა ძალზე ძლიერი მეტოქე, ამ დამატებითი 11-მეტრიანებისას თავი გამოიჩინა ბუქარესტელთა მეკარემ ხ. დუკადამმა, რომელმაც 4 პენალტი მოიგერია.

კიევის დინამოელებმა თასების მფლობელთა თასების ფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ასევე ესპანელთა გუნდი, მადრიდის „ატლეტიკო“.

**საკავშირო ტელევიზია დღეს პირველი პროგრამით გადასცემს სუპერთასის მატჩს. ტრანსლაცია დაიწყება 23 საათსა და 15 წუთზე თბილისის დროით.**



### საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

**სან-ხოსე.** ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა ორი წაგების შემდეგ ქალაქ სან-ხოსეში გამარჯვება მოიპოვეს ადგილობრივ გუნდთან შეხვედრაში — 8:0.

• • •

**ალესი.** საფრანგეთის ჰავრის დეპარტამენტის ამ ქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს მოსკოვის ტორპედოელებმა. მათი მეტოქე იყო საფრანგეთის II ლიგის ადგილობრივი კლუბი. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

### უცხოელები ესპანეთის კლუბებში

დღეისთვის ესპანეთის კლუბებს ორ-ორი უცხოელი ფეხბურთელის მოწვევის უფლება აქვთ. თუ კლუბში სამი უცხოელია, ერთს თამაშის ნება არ ეძლევა. მაგალითად, „ბარსელონაში“ ირიცხებიან ლინეკერი (ინგლისი), ჰიუზი (უელსი) და შუსტერი (გფრ), მაგრამ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი მატჩებში არ მონაწილეობს. გაგაცნობთ დანარჩენი კლუბების საზღვარგარეთელ მოთამაშეებს: მადრიდის „რეალი“ — სანჩესი (მექსიკა) და ვალდანო (არგენტინა); სარაგოსის „რეალი“ — რუბენ სოსა (ურუგვაი) და იანიესი (ჩილე); სევილიის „ბეტისი“ — სუნაბრია (არგენტინა) და ნადალი (ურუგვაი); ვალიადოლიდის „რეალი“ — ვირტი (ჩილე) და კაბრერა (ურუგვაი); ბარსელონის „ესპანიოლი“ — ნ'კონო (კამერუნი) და ლაურიდსენი (დანია); ლას პალმასის „უნიონი“ — კონტრერასი (ჩილე) და სანტისი (ჩილე); პამპლონის „ოსასუნა“ — პედერსენი (დანია) და აგირე (მექსიკა); მურსიის „რეალი“ — გინა (ბრაზილია) და ტიმუმი (მაროკო); მალიორკის „რეალი“ — ჰასანი (მაროკო) და ზაკი (მაროკო); „საბადელი“ — ისი (პარაგვაი) და ბუენავენტურა ფერეირა (პარაგვაი); მადრიდის „ატლეტიკო“ — და სილვა (ურუგვაი); ხიხონის „სპორტინგი“ — ფლორესი (მექსიკა); სანტანდერის „რასინგი“ — ბეკლი (ირლანდია); „კადისი“ — გონსალესი (სალვადორი).

### 1970 წლიდან

**როგორც** იცით, აფრიკის 1986 წლის № 1 ფეხბურთელად დაასახელეს ზაკი (მაროკო). კონკურსი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად 1970 წლიდან ტარდება. გთავაზობთ ლაურეატთა სიას:

1970 — სალიფ კეიტა (მალი), 1971 — იბრაჰიმ სანდი (განა), 1972 — შერიფ სულეიმანე (გვინეა), 1973 — ტიმენ ბვანგა (ზაირი), 1974 — პოლ მუკილა (კონგო), 1975 — აჰმედ ფარასი (მაროკო), 1976 — როჟე მილა (კამერუნი), 1977 — დჰიაბ ტარაკი (ტუნისი), 1978 — ქარიმ აბდულ რაზაკი (განა), 1979 — თომას ნ'კონო (კამერუნი), 1980 — ჟან მანგა ონგუენე (კამერუნი), 1981 — ლაკჰირ ბელუმი (ალჟირი), 1982 — თომას ნ'კონო, 1983 — მაჰმუდ ალ ქათიბი (ეგვიპტე), 1984 — თეოფილ აბეგა (კამერუნი), 1985 — მუჰამედ ტიმუმი (მაროკო), 1986 — ეზაკი ბადუ ზაკი (მაროკო).

# იმედიანი სტარტი

(დასასრული)

სკოველ მეზღვაურებთან შეხვედრას, მაგრამ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წარმომადგენლებს რომ ბევრად უკეთესად ვეთამაშებით, ამაში ეჭვი არ მეპარება.

მეოთხე პერიოდში ჯერ კოლუაშვილს, მერე გვახარიას (მესამედ და ამის გამო საბოლოოდ) დატოვებინეს სარბიელი. ეს გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო. მეტოქემ კარგად ისარგებლა რიცხობრივი უპირატესობით და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა.

მაინც რისი იმედი ჰქონდა უფროს მწვრთნელს? იქნებ იმის, რომ მოსკოველმა მეზღვაურებმა ბოლო დროს წაიფორხილეს? სსფ ცსკ ხომ ის გუნდია, რომელთანაც ფრედ დამთავრებული შეხვედრაც კი საპატიოა. ეს გუნდი საბჭოთა წყალბურთში ყველაზე ავტორიტეტულ და ღირსეულ კოლექტივად ითვლება. მას იმდენი „ჩინ-მედლები“ აქვს მიღებული, უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდს რომ ეყოფა: ჩვენი ქვეყნის თექვსმეტგზის ჩემპიონი, ცხრაგზის ვერცხლისა და რვაგზის ბრინჯაოს მედლების პრიზიორი, ცხრაგზის საკავშირო თასის მფლობელი — აი, სსფ ცსკ-ს წარმატებათა არასრული ნუსხა.

თბილისელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც. მათ უპირატესობას ვერც ამ მატჩის შედეგი გამოხატავს. მართალია, მოსკოველებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ ამის შემდეგ ერთთავად მდევრების როლში იყვნენ, თანაც ხშირად სამი ბურთითაც ჩამორჩებოდნენ. მესამე პერიოდში თბილისელები 7:4-ით დაწინაურდნენ.

საინტერესოა, რომ მოსკოველებმა ცხრა გატანილი გოლიდან 7-ჯერ რიცხობრივი უპირატესობისას მიაღწიეს წარმატებას, თანაც ეგრეთ წოდებული ზედმეტი მოთამაშე სამჯერ ვერ გამოიყენეს, თბილისელებმა კი ხუთიდან სამჯერ მიაღწიეს მიზანს.

ამ მატჩში ბურთები გაიტანეს კანდელაკმა (3), ზუმბულიძემ, გიორგაძემ, ბალათურიამ, მაჭავარიანმა, კუტივაძემ, ნიკოლაიშვილმა და გვახარიამ, ხოლო მოსკოველთაგან — ბოიკომ (3), სემიონოვმა (2), მაქსიმოვმა, კოლოტოვმა, მარკოჩმა და პავლოვმა.

თბილისელთა თამაშმა ყველა აღაფრთოვანა. მათ შორის მეტოქეებიც და მათი გულშემატკივრებიც. თბილისელთაგან ძნელია რომელიმეს გამოყოფა. უკლებლივ ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა.

შეხვედრის შემდეგ სპეციალისტებმა გაიხსენეს, თბილისელებმა უკანასკნელად როდის დაამარცხეს სსფ ცსკ მოსკოვში. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 1962 წელს დაუმარცხებიათ (მაშინ თბილისელებმა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს).

სპეციალისტებს რომ ვესაუბრებოდი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, წყალბურთის ცნობილი კომენტატორი ვლადიმერ რაშმაჯანი მომიბრუნდა და მითხრა, ეს გამარჯვება თბილისელებს მეტს ავალებსო.

დიახ, თბილისელ წყალბურთელებს ეს გამარჯვება ბევრს ავალებს.

შეჯიბრების პირველი დღის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — 3:11, სსფ ცსკ (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — 11:4. მეორე დღე: „ლოკომოტივი“ — „ბალტიკა“ 6:4, „უნივერსიტეტი“ — შჩფ (სევასტოპოლი) — 8:7.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).**

• • •

**ალმა-ათა.** აქ, როგორც ვიუწყებოდით, უმაღლესი ლიგის სხვა ექვსი გუნდი თამაშობს. გთავაზობთ პირველი ორი დღის ტექნიკურ შედეგებს:

„დინამო“ (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) 10:8, „დინამო“ (ალმა-ათა) „დინამო“ (ლვოვი) 11:9, „დინამო“ (კიევი) — „მოსკვიჩი“ (მოსკოვი) 10:8, „დინამო“ (ლვოვი) — კკფ (ბაქო) 11:8, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 12:9, „დინამო“ (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი“ (მოსკოვი) 7:5.

**გათამაშების ცხრილები**

**მდგომარეობა 28 თებერვლისათვის**

**მოსკოვის ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უნივერ.“ (მოსკ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 20-10 | 4 |
| „დინამო“ (თბ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 18-16 | 4 |
| სსფ ცსკ | 2 | 1 | 0 | 1 | 20-14 | 2 |
| „ლოკომ.“ (ხარკ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 9-15 | 2 |
| კჩფ (სევასტოპ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 14-17 | 0 |
| „ბალტიკა“ (ლენ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 8-17 | 0 |

**ალმა-ათის ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 22-17 | 4 |
| „დინამო“ (ა-ათა) | 2 | 2 | 0 | 0 | 18-14 | 4 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 20-19 | 2 |
| „დინამო“ (კიევი) | 2 | 1 | 0 | 1 | 19-20 | 2 |
| „მოსკვიჩი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 13-17 | 0 |
| კკფ (ბაქო) | 2 | 0 | 0 | 2 | 16-21 | 0 |



**ჯანმრთელობა** — **უწინარეს ყოვლისა**

# იოგა ჯანმრთელობის სამსახურში

...1953 წელს ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა ძალებით დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, სადაც მალხაზის პარტიის შესრულება IV კურსის სტუდენტ ალექსი იაკობაშვილს მიანდვეს. ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ მოვლენას.

შემდგომ იმავე სტუდენტურ სპექტაკლში ა. იაკობაშვილთან ერთად მღეროდნენ ჩვენი სახელოვანი მომღერლები პეტრე ამირანაშვილი, ნადეჟდა ხარაძე, ბათუ კრავეიშვილი და სხვები. სწორედ ზ. ფალიაშვილის „დაისში“ ამ ახალგაზრდა კოლექტივის წარმატებამ მოამწიფა ქუთაისში თბილისის ოპერის ფილიალის დაარსების საკითხი.

1954 წლიდან ალექსი იაკობაშვილი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასშია (პარალელურად სწავლას აგრძელებს ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში). ამ თეატრში მოღვაწეობის 26 წლის მანძილზე მან 17 სოლო და 45 საგუნდო პარტია შეასრულა. ბრწყინვალე ვოკალურ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ მას გამოჩენილი სპეციალისტები, მაგრამ ავადმყოფობის გამო ამ ჩანაფიქრს ვერ შეესხა ფრთები... სწორედ მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ განაპირობა ალექსის გატაცება უძველესი ინდური სამკურნალო სისტემა ჰათჰა-იოგათი...

**„...18 წელია ავად ვარ ინფექციური არასპეციფიკური პოლიართრიტით. მძიმე ავადმყოფობა თანდათან მომერია, ყველა ღონეს ვხმარობდი, არც კონსერვატორიაში მუშაობას ვანებებდი თავს. პერიოდული მკურნალობა ევპატორიაში ოდნავ მიუმჯობესებდა მდგომარეობას. მაგრამ ერთხელ იქ წასვლა ველარ მოვახერხე და ლოგინად ჩავვარდი. საწოლში გადატრიალებაც კი არ შემეძლო.**

**ზედად, ერთხელ ჩვენი ოჯახის მეგობარმა ალექსი იაკობაშვილმა მომაკითხა. უკვე ვიცოდი, როგორ ხძლია მან ავადმყოფობას. ვთხოვე, იქნებ მეც მიშველო რამე-მეთქი. თავიდან ეჭვის თვალით შემომხედა — როგორც გითხარით, ჩემი მდგომარეობა მართლაც მძიმე იყო და ასეთ პირობებში რა ვარჯიშზე შეიძლებოდა ლაპარაკი. მაინც გავბედეთ ვარჯიშის დაწყება, თუმცა ალექსი დიდ სიფრთხილეს იჩენდა. ერთი წლის თავზე პირდაპირ სასწაული მოხდა, საგრძნობლად გამოვმჯობინდი. შემდეგ ალექსიმ თავისი წიგნი მაჩუქა — „იოგა — ჯანმრთელობის სამსახურში“. მე უკვე დამოუკიდებლად შემეძლო ვარჯიში და ის წიგნი კარგად გამოვიყენე. ახლა, არ დაიჯერებთ, ოთახიდან ოთახში სიარულიც შემიძლია.**

**ძვირფასო რედაქცია, თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ალექსი იაკობაშვილს, ალბათ თქვენც დიდ სიკეთეს იზამთ, თუ მკითხველს ფართოდ გააცნობთ მის მეთოდს. დარწმუნებული ვარ, იგი ბევრ ადამიანს გაუწევს კეთილ სამსახურს.**

წერილს ხელს აწერს ნელი ირემაშვილი.

ვიდრე თავის ავადმყოფობას მოერეოდა და შემდეგ სხვებს გაუწვდიდა ხელს დასახმარებლად, ალექსი იაკობაშვილმა მრავალი წელი შეალია ძიებას, ვარჯიშსა და შრომას ჰათჰა-იოგას კომპლექსური ვარჯიშების დასაუფლებად.

მიუხედავად იმისა, რომ ნელი ირემაშვილის წერილში განსაკუთრებული შემთხვევაა აღწერილი, ჩვენ ეს ამბავი არ გაგვკვირვებია. ალექსი იაკობაშვილის წიგნი ახლა ყველასთვის კარგად არის ცნობილი. იაკობაშვილის მაგალითით ან მისი დახმარებით ბევრმა დაიწყო ჰათჰა-იოგას სისტემით ვარჯიში და საგრძნობლად გაიუმჯობესა ჯანმრთელობა.

ახლახან „განათლებამ“ დასტამბა ჰათჰა-იოგას მეორე, გადამუშავებული გამოცემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ალექსანდრე ბაკურაძის წინასიტყვაობით. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში მოვიწვიეთ ალექსი იაკობაშვილი და ინტერვიუ ჩამოვართვით.

● **თქვენმა პირველმა წიგნა „იოგა — ჯანრთელობის სამსახურში“ — დიდი გამოხმაურება გამოიწვია და სწრაფად იქცა იშვიათობად. ამან განაპირობა მისი ხელმეორედ გამოცემა... რით განსხვავდება მეორე გამოცემა პირველისაგან?**

— წიგნში შეტანილია ახალი თავები: „რა არის იოგა“? „რა არის პრანა“? უფრო მრავალფეროვანია ეგრეთ წოდებული მოსამზადებელი, სუნთქვითი ვარჯიშები. იმათ, ვინც უკვე მიაღწია გარკვეულ დონეს ჰათჰა-იოგას ათვისებაში, უფრო გართულებულ ვარჯიშებს, ესე იგი ასანებს ვთავაზობ. თუმცა ცოტა გულნატკენიც ვარ. პირველ წიგნში მოყვანილ ყოველ ვარჯიშს ახლდა კომენტარი. კომენტარებში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ ადამიანის რომელ ორგანოს, ანდა რა სახის ავადმყოფობას მოუხდებოდა ესა თუ ის ასანა. ასეთი ახსნა-განმარტებანი ახალი წიგნისთვისაც მოვამზადე რეცენზენტების — ცნობილი სპეციალისტების ხელმოწერით, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ წიგნი მათ გარეშე დაიბეჭდა. წიგნში ვერ მოხვდა თავი „დაუბრუნდით ბუნებას“, „კვების ჰიგიენა“ „სიმსუქნე და მისი პროფილაქტიკა“, ვარჯიშთა კომპლექსი ხანდაზმულთათვის და მასაჟები.

● **რამდენად რეალურია და ხელმისაწვდომი, რომ ხანდაზმულმა.**

იხ. მე-4 გვ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲨᲘ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲨᲘ

## ᲠᲕᲐ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

**ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲞᲘᲚᲡᲘ** (ლატვია), 28 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). 100-უჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში გათამაშდა VIII ტურის პარტიები. მხოლოდ ერთი შეხვედრა აღმოჩნდა შედეგიანი — მოგილიანსკიმ დაამარცხა ბერჩისი. დანარჩენი შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ბერიშვილი დაუზავდა პრესმანს. 8 ტურის შემდეგ 5-5 ქულით შეჯიბრებას კვლავ რიგელი ტუნდის ვალნერისი და ლენინგრადელი მიხეილ კორენევსკი ლიდერობენ. 4,5-4,5 ქულა აქვთ ალექსეი ჩიჟოვს (უსტინოვი), ალექსეი ვერხოვიხს (კალინინი), ვადიმ ვირნის (ხარკოვი) და ალექსანდრე მოგილიანსკის (რიგა). ჯუმბერ ბერიშვილთან ერთად VII-XIII ადგილებს 4-4 ქულით 7 მოშაშე იყოფს.

ᲐᲠᲢᲣᲠ ᲒᲠᲘᲮᲛᲐᲜᲘ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

**ᲥᲐᲚᲗᲐ** გუნდური პირველობა მარათონში, რომელიც იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში ჩატარდა, პორტუგალიელმა სპორტსმენებმა (სოარეში, მოტა, დიასი, კუნია, მაჩადო, ფერეირა) მოიგეს — 2:16.49. არ გაგიკვირდეთ ეს შედეგი — დისტანცია ცალკეულ მონაკვეთებად იყო დაყოფილი (5, 10, 5, 10, 7, 195 და 5 კმ) და თავისებური ესტაფეტა ტარდებოდა. საბჭოთა ნაკრებმა (რომანოვა, მატვეევა, ვასილიუკი, როდჩენკოვა, გუსკოვა, კაზანკინა) მესამე შედეგი აჩვენა — 2:20.11. მეორე ადგილზე ნორვეგიელები გავიდნენ.

# ᲘᲝᲒᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

**მიუხედავად ამისა, ბევრი მაინც უფრთხის დაწყებას. მით უმეტეს ხნეულმა ადამიანმა, დაიწყოს ისეთი რთული ვარჯიში, როგორიც იოგაა, რომლის ათვისებაშიც ახალგაზრდებსაც კი დიდ სიფრთხილეს ურჩევთ?**

— ამის შესაძლებლობა უამრავი მაგალითით მტკიცდება. როდესაც ამ თავს ვამუშავებდი, მსოფლიოში ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიებსაც გადავხედე და ბევრი რამ საყურადღებო აღმოვაჩინე. აი, ბერნარდ შოუს სიტყვებსაც წაგიკითხავთ (ჩემმა თანამოსაუბრემ სქელი საქაღალდიდან ფურცელი ამოიღო): „ახალგაზრდობაში ჩემთვის ცხოვრებას არც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამიტომ დღევანდელ ასაკს არ გავცვლი იმ დროზე, რადგან ახლა სავსე, ჰარმონიული და ბედნიერი ცხოვრებით ვცხოვრობ. ეს კი უპირველესად იოგას დამსახურებაა. მან მოახდინა სასწაული მაშინ, როდესაც ჩემი სხეული ავადმყოფობდა და ბერდებოდა, სული კი იტანჯებოდა წუხილით. ღრმად ვარ დარწმუნებული, იოგა შეუდარებელი სისტემაა ადამიანის ფსიქოლოგიისა და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად...“ შემიძლია მოგიყვანოთ სხვა უამრავი მაგალითი. ლევ ტოლსტოი ახალგაზრდობაში მძიმედ იყო ავად და ისევ ფიზიკურმა ვარჯიშმა, ცხოვრების ჯანსაღმა წესმა განკურნა. 75 წლისამ ველოსიპედით სიარული ისწავლა, 80 წლისა ცხენს დააჭენებდა...

● **ისევ წიგნს დავუბრუნდეთ. ეს კითხვა თქვენთვის ალბათ ბევრჯერ დაუსვამთ და მეც მინდა გავიმეორო. ჰათჰა-იოგაში ვარჯიშის დამოუკიდებლად დაწყება ერთგვარად სახიფათოც კია, მით უმეტეს იმისთვის, ვინც ყველა ვარჯიშის დანიშნულება არ იცის. ერთი სიტყვით, როგორ უნდა დავიწყოთ ვარჯიში?**

— ამ საკითხზე მართლაც ბევრთან მქონია საუბარი. უკვე ვთქვი, ყველაფერი სუნთქვითი ვარჯიშით იწყება-მეთქი. ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ ჯანმრთელობის ჯგუფების წევრებს უშუალოდ თვითონ ვამეცადინებდი ამ მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში. მათ შორის ბევრი ცნობილი ადამიანი იყო: ლამარა ჭყონია, ზურაბ ანჯაფარიძე, პროფესორი დიმიტრი მირცხულავა... თვით მედიცინის მუშაკები, პროფესორები გიორგი მჭედლიშვილი, ბესარიონ იაშვილი, ვისთან ერთადაც დავიწყე ჰათჰა-იოგას შესწავლა და სხვები. ამ საფეხურის სწორად ათვისების შემდეგ ადამიანს უადვილდება შემდგომი, მოსამზადებელი ვარჯიშები, თუმცა კონსულტაციების გარეშე მეცადინეობა არც ახლა შეიძლება. ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში უკვე სწავლობენ, ნერგავენ ჰათჰა-იოგას. თუმცა ალბათ კარგი იქნება, მეტი ყურადღება მიექცეს იოგას გამოყენებას მკურნალობის მიზნით, გაიხსნას ჯანმრთელობის ჯგუფების საკონსულტაციო პუნქტები. ჯანმრთელმა ადამიანმა წიგნის მიხედვითაც შეიძლება დაიწყოს ვარჯიში, ოღონდ, რასაკვირველია, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გასარკვევად ექიმთან მისვლა აუცილებელია.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რამდენიმე სამწუხარო შემთხვევა ვიცი, როდესაც თვითნებურად ვარჯიშის დაწყებამ დაავადებულ ადამიანს სარგებლობა კი არ მოუტანა, პირიქით — ავნო მის ჯანმრთელობას...

● **რა დამოკიდებულება აქვს იოგას ასე ვთქვათ, „კლასიკურ მედიცინასთან“?**

— პირდაპირი. მე, ვიდრე იოგას ვარჯიშებს ავითვისებდი, საგანგებოდ შევისწავლე ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია. ადამიანი უნდა „გრძნობდეს“ თავის სხეულს, ყველა ორგანოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჯანმრთელობაზე სასიკეთო გავლენა მოახდინოს ვარჯიშმა, რომლის დროს თვითშეგონებაც დიდ როლს ასრულებს. ჰათჰა-იოგა მედიკამენტებით მკურნალობასთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მაგალითად, მე ვიქცეოდი ვარჯიშის პირველ პერიოდში.

სხვათა შორის, იოგთა საერთაშორისო ცენტრის დამაარსებელი, ინდოელი სვამი შივენანდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ. — მასვე ეკუთვნის დიდი ნაშრომი — „იოგათერაპია“.

● **თქვენ საშუალება გქონდათ ავტორიტეტულ ინდოელ სპეციალისტებთან შეგემოწმებინათ თქვენი ცოდნა ჰათჰა-იოგაში. 1977 წელს ინდოეთში ბრძანდებოდით. მოეპოვება თუ არა იოგას კონკრეტული იარაღი ამა თუ იმ ავადმყოფობის წინააღმდეგ [illegible]? რასაკვირველია, [illegible] ხნეულებებს არ ვგულისხმობ.**

— ინდოეთში იოგას მრავალი ასეული წლის ისტორია აქვს და მე იქ ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მომცეს. ამომწურავი პასუხი მივიღე უამრავ საკითხზე. არ შემიძლია ვთქვა, რომ იოგა ყველა ავადმყოფობის წამალია, მაგრამ ხშირად იგი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ადამიანს.

● **შეიძლება თუ არა ჰათჰა-იოგას გამოყენება სპორტში?**

— რასაკვირველია. მე ახლა თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ფიზკულტურისა და სპორტის სასწავლო სექტორის გამგედ ვმუშაობ, საწრეო მეცადინეობებსაც ვატარებ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის საჭადრაკო სკოლაში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფში. მოჭადრაკეებს, მაგალითად, ლაშა ჯანჯღავას, იანის პოპოვსა და სხვებს ფიზიკურ მომზადებაში ვეხმარები. შედეგები, ამას მოჭადრაკეთა მწვრთნელებიც აღიარებენ, მართლაც კარგი მივიღეთ.

ალბათ ზედმეტიცაა იმაზე საუბარი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სპორტსმენისთვის სწორი სუნთქვა. ასე რომ, ამ მხრივ იოგას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებისთვისაც.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐ,
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

# ᲠᲘᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ

**ᲠᲘᲜᲒᲘ** და მოკრივე ხშირად გამხდარა კინოხელოვნების ობიექტი. კინორეჟისორებს არაერთხელ გადაუღიათ თავიანთ ფილმებში მოყვარული თუ პროფესიონალი მოკრივეები და ცნობილ კინომსახიობებსაც მრავალგზის შეუსრულებიათ მოკრივის როლი. ვინ მოთვლის, რამდენ ფილმში არიან გადაღებული მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები ჯეკ დემპსი და ჯო ლუისი. კინოვარსკვლავი მაქს ბერი ამავე დროს მსოფლიოს ჩემპიონი იყო კრივში. „ჰოლივუდის ჩემპიონმა ბუმბულის წონაში“, ჩარლი ჩაპლინმა, ბევრ თავის ფილმში მისთვის ჩვეული იუმორით განასახიერა მოკრივე. რინგის ოსტატის როლის შესასრულებლად საგანგებო წვრთნას გადიოდნენ რობერტ ტეილორი („უკანასკნელი რაუნდი“) და ოლეგ სტრიჟენოვი („მექსიკელი“), ვინც ლამის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა და ვისი პარტნიორიც იყო ძმები სტეპანოვები, ამ „მოკრივეთა საგვარეულოს“ ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელი. რამდენიმე ეპიზოდურ როლშია გადაღებული დიდებული ქართველი მოკრივე და შესანიშნავი ათლეტი ლევან ღუდუშაური, კინოეკრანს ხარკი მიუზღვეს ევროპის ჩემპიონმა, სახელოვანმა ქართველმა მოკრივემ დავით კვაჭაძემ და ქუთაისში კრივის ფუძემდებელმა ივანე მარქაროვმა. რინგისა და ეკრანის მჭიდრო კავშირის დასტურია გამოჩენილი მსახიობის სიდნეი პუატიეს სიტყვები: „ყველაზე მეტად მიყვარს ჩემს ახლობელ, ბრწყინვალე მოკრივე არჩი მურთან საუბარი, ვინც დროდადრო თამაშობს ხოლმე კინოში და ვინც თავისდაუნებურად გადმომცა ჟესტების პლასტიკა“. ამავე თემაზე მოგვითხრობს თავის მოგონებებში ტყავის ხელთათმნის ცნობილი რუსი ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი კონსტანტინე გრადოპოლოვი, რომელიც წლების მანძილზე გახლდათ კინომსახიობი.

ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

● ● ●

ჩემს დროს კრივი დიდ პატივში იყო. საზოგადოების ყველა ფენაში მრავლად შეხვდებოდით სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ბევრ მოყვარულს. მათ არ გამოჰკლებიათ ხელოვნების წარმომადგენელნიც. მოსკოვის ცირკში შეჯიბრებების დროს ხშირად ნახავდით მსახიობებს — მიხაილ მოსკვინს, მიხაილ თარხანოვს, მხატვრებს — ალექსანდრე დეინეკას და გიორგი ნისსკის, მოქანდაკე გიორგი მოტოვილოვს, ბალეტის არტისტს ვიქტორ სმოლცოვს და მრავალ სხვას. დეინეკამ შექმნა ჩემი ფერწერული პორტრეტი, მოტოვილოვმა კი — რამდენიმე ცნობილი მოკრივის ქანდაკება. ცირკში ხშირად მოდიოდნენ კინოს წარმომადგენლებიც. აქედან დავუახლოვდი ხელოვნების ამ მეტად საინტერესო დარგს. პირველად კინორეჟისორმა ლევ კულეშოვმა შემომთავაზა კინოსახელოსნოში მუშაობა, ასე მითხრა, ძალზე მიზიდავს თქვენი გამომსახველი მოძრაობები, ეს საფუძველი მუნჯი კინოსი, რაც უხვად აქვთ მომადლებული მოკრივეებსო. 1927 წელს კი შედგა ჩემი, როგორც კინომსახიობის, ნათლობა. ლენინგრადში გამართული მატჩის დროს მითხრეს, რომ ვიღაც კაცს სურდა ჩემი ნახვა. ეს პიროვნება გამოდგა ნიჭიერი კინოხელოვანი სერგეი იუტკევიჩი. მან მიმიწვია ხანჟონკოვის ძველ ფაბრიკაში, სადაც წინარევოლუციური კინოს რომანტიკა სუფევდა. აქ იღებდნენ ეკრანზე ვერა ხოლოდნაიას, აქ აღიზარდა ვსევოლოდ პუდოვკინი. ასე გასინჯეთ, თვით ოლღა კნიპერ-ჩეხოვასა და ნიკოლოზ ჩერკასოვთან მომიწია თამაში. ამ პერიოდში ეკრანზე ბევრი პლასტიკური სახე შევქმენი. ასე რომ, „დიადი მუნჯი“ უცხო როდი იყო ჩემთვის, მერმე კი მონაწილეობა მივიღე ხმოვან ფილმებშიც. მოკრივის როლი შევასრულე მოგვიანებით, ლამის ორმოცი წლის ასაკს მიღწეულმა, ვლადიმერ გინჩუკოვის მიერ დადგმულ ფილმში „მოკრივეები“. აქ უნდა მეთამაშა პროფესიონალი მოკრივის — ანდრი ლანსის როლი. პარტნიორად, ბევრი სინჯის შემდეგ, შეარჩიეს ათლეტურად აღნაგი, ნავარჯიშევი მსახიობი დანიელ სეგალი. ფილმის



კულმინაციური მომენტი გახლდათ 15-რაუნდიანი ბრძოლა, სადაც მე უნდა დავმარცხებულიყავი მეთორმეტე რაუნდში. მატჩი უნდა წარმართულიყო პროფესიული კრივის წესებით. ძალზე რთული ამოცანის წინაშე ვიდექი, რადგან ფილმი უნდა ყოფილიყო უზადო როგორც მხატვრული, ისე სპორტული თვალსაზრისით. აქვე დავსძენდი, სულ სხვაა, როცა მოკრივე ფილმში ასრულებს რაიმე როლს და სრულიად სხვა, როდესაც მას უწევს მოკრივისავე როლის თამაში. სეგალს წვრთნა დავაწყებინე. იგი ბეჯითად ვარჯიშობდა და გულმოდგინედ ითვისებდა რინგზე ბრძოლის ხელოვნებას. ოღონდ, ნურავინ იფიქრებს, რომ მე ვცდილობდი მოკრივეთა ნამდვილი ორთაბრძოლის ასლის შექმნას ეკრანზე. ორმხრივი ტრავმებისა და ამ მიზეზით წყვეტილი გადაღებების თავიდან ასაცილებლად პირობა დავდე, მთელი ძალით არც ერთხელ არ დამერტყა პარტნიორისთვის. ასევე ჯენტლმენურად უნდა მოქცეულიყო სეგალიც. კარგად ვიცნობდი რა კინოს თავისებურებებს, ვუწყოდი ის ჭეშმარიტებაც, რომ კარგი გამომსახველობის მიღება შესაძლო იყო ნამდვილი ორთაბრძოლის გარეშეც. ამისათვის საჭირო გახლდათ ბრძოლის აგება სწრაფი ტემპით. მე მკვეთრად გავისროდი წინ ხელს, თითქოსდა მეტოქეს ვაყენებდი გამანადგურებელ დარტყმას, სინამდვილეში კი ჩემი მუშტი მიზანს ძალზე რბილად ხვდებოდა. ასევე იქცეოდა სეგალიც, რაც საშუალებას იძლეოდა თავისუფლად მემოძრავა რინგზე და მატჩის ნაირგვარი პერიპეტიები გამეთამაშებინა. ისე შევეწყვეთ ერთმანეთს, რომ ჩვე[ნი] დარტყმები ეკრანზე ფიქსირდებოდა როგორც ნამდვილნი. მოკრივისა და მსახიობის ასეთმა შეთანხმებულობამ დაგვადგმევინა ბრძოლა, რომელიც სარწმუნო გახდა ყველაზე მომთხოვნი მაყურებლისა და, თუ გნებავთ, სპორტის სპეციალისტისთვისაც. ფილმი, რომელშიც ჩართული იყო ოცწუთიანი მატჩი, ორი ათეული წლის მანძილზე არ ჩამოსულა ეკრანიდან. შემდგომში მომიხდა მემუშავა კინორეჟისორებთან, როგორც კონსულტანტს რინგზე ბრძოლის სცენების დადგმაში. ბევრმა მოკრივის როლის შემსრულებელმა მსახიობმა გაიარა ჩემს ხელში. მწვრთნელის გამოცდილებით ვიტყვი, რომ მსახიობის ტექნიკური მომზადება დიდ დროს საჭიროებს, ამიტომაც ჩავაგონებდი რეჟისორებს, რომ რინგზე ბრძოლის დადგმა მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა ერთის მხრივ მსახიობი განახორციელებს „მოკრივის მინიმუმს“, მეორე მხრივ კი მოკრივე — „მსახიობის მინიმუმს“. ერთმა რეჟისორმა არ დამიჯერა და ორი ცნობილი მსახიობი მიიწვია მოკრივეების როლში. მაშინ მე უარი ვთქვი ბრძოლის დადგმაზე. ჩემი ფორმულა გამართლდა. როცა გაჯიუტებულმა რეჟისორმა და ჩემმა შემცვლელმა კონსულტანტმა ეს მსახიობები რინგზე გაიყვანეს, მათმა მიმოხრამ და მუშტების უსაზღვრო ქნევამ მასობრივი სცენების მონაწილეთა და მთელი სადადგმო კოლექტივის ჰომერული ხარხარი გამოიწვია. ამა ყოველს დავსძენდი, ფილმში ბრძოლის ნახაზს, პირველ ყოვლისა, უთუოდ მოკრივე უნდა ქმნიდეს, ტყავის ხელთათმნის ნაცად ოსტატს ძალუძს მსახიობსაც შეუქმნას რინგზე მოძრაობისა და მუშაობის პირობა. ჩემი რწმენითა და გამოცდილებით მარტოოდენ ლამის სინამდვილესთან მიახლოებული ორთაბრძოლის იმიტაციით შეიქმნება რინგზე ბრძოლის დამაჯერებელი საეკრანო სურათი.

**სურათზე: კონსტანტინე გრადოპოლოვი.**

ᲠᲔᲒᲑᲘ

## ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ

**ᲨᲐᲑᲐᲗᲡ** რეგბისტთა „ხუთი ერის პირველობის“ მესამე ტური გაიმართა. ინგლისელები ლონდონის გარეუბან თვიქნემში ფრანგებს ეთამაშნენ და დამარცხდნენ — 15:19.

ედინბურგის გარეუბან მარიფილდში შოტლანდიელებმა ირლანდიელებს სძლიეს — 16:12 (10:9).

ახლა გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ინგლისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 |

მორიგ ტურში, რომელიც 7 მარტს გაიმართება, ერთმანეთს ხვდებიან უელსისა და ინგლისის, საფრანგეთისა და შოტლანდიის გუნდები. ფრანგები გამარჯვების შემთხვევაში ვადამდე მოიპოვებენ ჩემპიონობას.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, VIII ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 31 (ფარიკაობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 3 (ბობსლეი), 15 (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 05262